



რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

26 დეკემბერი, 2024 - 31 იანვარი, 2025



რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2024 წლის 26 დეკემბერი - 2025 წლის 31 იანვარი

მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)
www.tdi.ge



ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, საჯარო პირების, სასულიერო პირებისა და რელიგიური ინსტიტუტების განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს 2024 წლის 26 დეკემბრიდან 2025 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდს.

ასევე შეგიძლიათ, იხილოთ რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის 2024 წლის ანგარიშები:

წინასასარჩევნო პერიოდი:

[25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე](#)

[25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე](#)

არჩევნების შემდგომ პერიოდში:

[26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე](#)

[26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე](#)

ფოტო გარეკანზე: გურამ მურადოვი



სარჩევი

ძირითადი მიგნებები.....	4
1. „ქართული ოცნებისა“ და მისი სატელიტების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიითა და იდენტობით მანიპულირება	5
1.1. გლობალური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა - „რუსკი მირის“ (რუსული სამყარო) კონცეფციის ანარეკლი	5
1.2. ანტიდასავლური და მანიპულაციური გზავნილები საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებთან მიმართებით.....	6
1.3. ფსევდორელიგიური ნარატივებით ოპონენტების დისკრედიტაცია	9
2. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობის დამგმობი და დემონსტრანტების მხარდამჭერი განცხადებები	11
3. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის პროპაგანდისტული განცხადებები საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით.....	14

ძირითადი მიგნებები

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე მონიტორინგი აჩვენებს, რომ „ქართული ოცნების“ ანტიევროპული და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო პროპაგანდა დიდწილად ფსევდორელიგიური ნარატივების მანიპულაციას ეყრდნობა.

„ქართული ოცნების“ ნარატივის მიხედვით, „გლობალური იდეოლოგია“, რომლის განმახორციელებლები საქართველოში „ქართული ოცნების“ ოპონენტები, სამოქალაქო საზოგადოება, მედია და ოპოზიცია არიან, ებრძვის სარწმუნოებას, „ოჯახურ ღირებულებებს“, ტრადიციებს და ეროვნულობას, ხოლო საქართველოს დასავლელი საერთაშორისო პარტნიორები ძირითადად „ანტისახელმწიფოებრივ პროექტებს“ აფინანსებენ. მათ განცხადებებში მუდმივად ისმის უწყვეტი პროევროპული დემონსტრაციების დისკრედიტაცია, რომ ეს გარედან მართული პროცესია და პროტესტის მონაწილეები, „ლიბერალი ფაშისტები“, ებრძვიან მართლმადიდებელ ეკლესიას, სარწმუნოებას, ტრადიციებსა და სახელმწიფო სუვერენიტეტს.

დადებით ტენდენციად უნდა აღინიშნოს მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის მზარდი საჯარო განცხადებები, რომლითაც ისინი გამოხატავენ „ქართული ოცნების“ ანტიევროპულ კურსს, ძალადობასა და რეპრესიებს მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ და მათდამი მხარდაჭერას გამოხატავენ.

1. „ქართული ოცნების“ და მისი სატელიტების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიითა და იდენტობით მანიპულირება

„ქართული ოცნების“ მეტანარატივია, რომ არსებობს „გლობალური იდეოლოგია“, რომელიც ებრძვის სარწმუნოებას, „ოჯახურ ღირებულებებს“, ტრადიციებს და ეროვნულობას. მათი თქმით, „გლობალური იდეოლოგიის“ განმახორციელებლები საქართველოში „ქართული ოცნების“ ოპონენტები არიან. საქართველოს დასავლელი საერთაშორისო პარტნიორები „ანტისახელმწიფოებრივ პროექტებს“ აფინანსებენ; 2024 წლის 28 ნოემბერს დაწყებული თვითორგანიზებული მშვიდობიანი დემონსტრაციები „გარედან მართული“ მოძრაობაა, აქციის მონაწილეები კი მართლმადიდებელ ეკლესიასა და სარწმუნოებასთან მებრძოლი „ლიბერალი ფაშისტები“ არიან. ამის საპირწონედ, „ქართული ოცნება“ არის პოლიტიკური ძალა, რომელიც იცავს სარწმუნოებას, ტრადიციულ ფასეულობებსა და სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნებისა“ და მათთან აფილირებული პოლიტიკური სუბიექტების შემდეგი ძირითადი ნარატივები და თემატური გზავნილები გამოიკვეთა:

1.1. გლობალური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა - „რუსკი მირის“ (რუსული სამყარო) კონცეფციის ანარეკლი

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი ნარატივია, რომ არსებობს გლობალური იდეოლოგია, რომელიც საქართველოში მართლმადიდებლობას და ოჯახურ ღირებულებებს ებრძვის.

რეალურად ეს ნარატივი ეფუძნება „რუსკი მირის“ კონცეფციას, რომელიც თავის მხრივ, ეყრდნობა ანტილიბერალური და ანტიდემოკრატიული სამყაროს პარადიგმას. წინა პლანზე წამოწეულია სარწმუნოებისა და ეროვნულობის დაცვის იდეები, მაგრამ მისი მიზანი დასავლეთის სახით, მტრის ხატების შექმნა და გავრცელებაა.

მიხეილ ყაველაშვილი, საქართველოს არალეგიტიმური პრეზიდენტი, 31 დეკემბერი: „...ძალიან მტკიცედ გვაქვს ქართველებს - რას ნიშნავს ჩვენთვის ოჯახი, ენა, მამული, სარწმუნოება - ეს ჩვენი დიდი საუნჯე, რომელიც დიდმა ილიამ დაგვიტოვა და რაზეც უნდა ვიყოთ დაფუძნებული, ამის გარეშე არ არსებობს ჩვენი ერი და არ შეიძლება,

არსებობდეს. ეს საუნჯე არის გასაფრთხილებელი იმ გამოწვევებში, რომლებიც ამ გლობალურმა იდეოლოგიამ შემოიტანა.”

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ არალეგიტიმური პრემიერ-მინისტრი, 7 იანვარი: „არის მათ შორის ძალიან მძიმე იდეოლოგია, რომელიც ვრცელდება მთელი საქართველოს მასშტაბით და სწორედ ეს იდეოლოგია აშორებს ადამიანს ღმერთს და აშორებს რწმენას. რა თქმა უნდა, ამას ყველა უნდა დაუპირისპირდეთ და ამისთვის საჭიროა რწმენის დაცვა, ტრადიციული ფასეულობების დაცვა და თითოეული ჩვენგანი ამით უნდა ვიყოთ დაკავებული“.

1.2. ანტიდასავლური და მანიპულაციური გზავნილები საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებთან მიმართებით

განცხადებები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის სანქცირებასთან დაკავშირებით:

მთავარი გზავნილი: ბიძინა ივანიშვილის სანქცირება, რომელიც შანტაჟისთვის გამოიყენება, მართლმადიდებელი ეკლესიის სანქცირების ტოლფასია.

დავით მათიკაშვილი, „ქართული ოცნება“, არალეგიტიმური პარლამენტის წევრი, 28 დეკემბერი: „ძალიან კარგად იციან, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის სანქცირება ეს არის სამების ეკლესიის მშენებლობის სანქცირება; ეს არის ასობით ეკლესია-მონასტრის მშენებლობისა და რეაბილიტაციის სანქცირება“.

თამარ ჩიბურდანიძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 27 დეკემბერი: „...მაგრამ, გადახედეთ სოციალურ ქსელებს, როგორ ზეიმობენ ისინი, ვისი ოჯახის წევრები, ვისი ეკლესია-მონასტრები, ვისი სახელმწიფოც გადაარჩინა... ქართველი ხალხის უმრავლესობა შესაბამისად აფასებს ამ ღვთისნიერი ადამიანის ღვაწლს და 12 წლის შემდეგაც გვერდში უდგას გარდამტეხ ბრძოლაში.“

ვლადიმერ ბოჟაძე, „ქართული ოცნება“, არალეგიტიმური პარლამენტის წევრი, 25 იანვარი: ნებისმიერი სანქცია, დიპლომატიურ პასპორტებთან მიმართებით იქნება თუ სხვა ტიპის რაიმე სანქცია, ვიცით, რომ ეს ყველა მექანიზმი გამოიყენება ჩვენი ქვეყნის შანტაჟისთვის, ბიძინა ივანიშვილის შანტაჟისთვის, ჩვენი პოლიტიკური ლიდერების

შანტაჟისთვის. ჩვენ არ და ვერ დავიხვევთ უკან იმიტომ, რომ ჩვენს უკან არის ჩვენი სახელმწიფო, ეკლესია, ხალხი, ოჯახები და ბუნებრივია ჩვენ ამ პოლიტიკას გავაგრძელებთ.“

განცხადებები აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით:

მთავარი გზავნილი: ამერიკის და ევროკავშირის ფულით ფინანსდებოდა ანტისახელმწიფოებრივი პროექტები, მათ შორის ტრადიციების და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. ტრამპმა კი ეს დაფინანსება შეწყვიტა.

20 იანვარს, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო დახმარების გადახედვის შესახებ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის აღმასრულებელი [ბრძანების](#) შესაბამისად, დაპაუზდა USAID-ის დაფინანსების ყველა ახალი ვალდებულება განვითარების მიზნების შეთანხმებების (DOAGs) ფარგლებში, მანამ სანამ არ მოხდება USAID-ის მიერ დაფინანსებული უცხოური დახმარების პროგრამების რევიზია/გადახედვა. ამ საკითხს გამოეხმაურნენ „ქართული ოცნების“ არალეგიტიმური პარლამენტის წარმომადგენლები და ეს ფაქტი შეაფასეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ცვლილებად, რომელიც, მათი თქმით, აქამდე საქართველოში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, ეკლესიისა და ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას აფინანსებდა.

[სოზარ სუბარი](#), „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტია „ხალხის ძალის“ [თავმჯდომარე](#), 14 იანვარი: „...ასევე, შეწყდება ზეწოლა, რომ გავაუქმოთ კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ და ესეც ძალიან კარგია. დარწმუნებული ვარ, ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში არ გაგრძელდება ისეთი ანტისახელმწიფოებრივი პროექტების დაფინანსება, სადაც ახალგაზრდებს ამერიკული ფულით უტარებენ ტრენინგებს, როგორ მოახდინონ სახელმწიფო გადატრიალება, როგორ გადაწვან პარლამენტი, როგორ ებრძოლონ ტრადიციებს, ეკლესიას... და თუ არ შეწყდება, მინიმუმ შემცირდება ასეთი დაფინანსებები და ესეც ძალიან კარგია.“

[ირაკლი ზარქუა](#), „ქართული ოცნების“ არალეგიტიმური პარლამენტის წევრი, 23 იანვარი: „...რომ სახელმწიფო ინტერესები არის უწინარესი. ეს არის ჩვენი რელიგია, ეკლესია, მართლმადიდებლობა, ტრადიციები, ადათ-წესების პატივისცემა. მაგრამ გავვაოცა ტრამპმა. კიდევ უფრო შორს წავიდა და დაამატა, რომ ამ უსამშობლოებს, „ენჯელოშნიკებს“ შეუწყვიტა დაფინანსება.“

განცხადებები საქართველოსთან მიმართებით ევროსაბჭოს პოლიტიკაზე:

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) 29 იანვარს, საქართველოსთან დაკავშირებით [რეზოლუცია](#) მიიღო, რომლის მიხედვითაც, საქართველოს დელეგაციას აპრილამდე შეზღუდული უფლებამოსილება ექნება. ასევე, ასამბლეამ მოუწოდა „ქართულ ოცნებას“ „გაათავისუფლოს პოლიტიკური პატიმრები და დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები“.

მთავარი გზავნილი: დასავლური ინსტიტუტები საქართველოში ქრისტიანულ და ოჯახურ ღირებულებებს ებრძვიან და მორჩილებას მოითხოვენ.

[დავით ქართველიშვილი](#), „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 30 იანვარი: „კიდევ ერთი ნაბიჯით ჩამოვშორდით მონობას, ნეოკოლონიალიზმს, ვასალობას, ტრადიციული, კონსერვატიული და ქრისტიანული ფასეულობების წინააღმდეგ გამოცხადებულ ომს. სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობა, ღირსების შენარჩუნება, ქართველობა და მართლმადიდებლობა - ამის დათმობას ითხოვდა ჩვენგან ბრიუსელისა და ვაშინგტონის შემდეგ, დღეს უკვე სტრასბურგი“.

მთავარი გზავნილი: რადიკალი ევროპელი პოლიტიკოსები თელავენ ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს.

ხშირად გვხდება „ქართული ოცნებისა“ და მისი წარმომადგენლების მხრიდან როგორც ზოგადად, ევროკავშირის წინააღმდეგ, ასევე ცალკეულ დასავლელ პოლიტიკოსებზე ინდივიდუალური თავდასხმები, რაც მათი მხრიდან „ქართული ოცნების“ კრიტიკას უკავშირდება. საანგარიშო და წინა პერიოდშიც, ერთ-ერთი სამიზნე ამ მხრივ, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაელ როთი იყო, რომელსაც მართლმადიდებლობასთან მეზრძოლად წარმოაჩენდნენ და იყენებდნენ ანტიდასავლური განცხადებების გასაჟღერებლად.

[შალვა პაპუაშვილი](#), „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავჯდომარე, 7 იანვარი: „მიხაელ როთის ლეგიტიმაცია რომ არ ექნება ქართველს ხალხს, ეს გასაგებია. ადამიანი ჩამოვიდა და ქართულ ეკლესიას დაუწყო ლანძვრა და მისგან რას უნდა მოველოდეთ? პრობლემა ოპოზიციაში და იმ ენჯეოებშია, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენ არა ქართველი ხალხის, არამედ უკრაინის, ლიტვის, საფრანგეთის თუ სხვა ქვეყნის ინტერესებით უნდა ვიმოქმედოთ. ვედარ გაურკვევია ზოგიერთს ქართული დროშა აფრილონ, უკრაინის, ამერიკის თუ რომელი დროშა.“

ამავე თემაზე განცხადებები გააკეთეს „ქართული ოცნების“ ლიდერებმა და სხვა დეპუტატებმა, [ლევან მაჭავარიანი](#), [არჩილ გორდულაძე](#), [გურამ მაჭარაშვილი](#), [შალვა პაპუაშვილი](#), [ირაკლი ჭეიშვილი](#).

1.3. ფსევდორელიგიური ნარატივებით ოპონენტების დისკრედიტაცია

ძირითადი გზავნილი: „ლიბერალური ფაშიზმი“ (მოიაზრებიან „ქართული ოცნების“ ოპონენტები) ებრძვის მართლმადიდებლობას და ეკლესიას.

საერთო ტენდენციაა, რომ „ქართული ოცნება“ და მათი სატელიტები პროპაგანდაში მიმართავენ სხვადასხვა მანიპულაციურ გზას, მაგალითად, წინსწრებით „იკავებენ“ იმ ცნებებს, რომლებიც ოპონენტებმა შეიძლება მათი მისამართით გამოიყენონ (ფაშიზმი, საბჭოთა ტაქტიკა და რეპრესიები), და ამ ცნებებს ფასეულობების აღრევის შემოსატანად, უკავშირებენ მათთვის არასასურველ იდეოლოგიას (ლიბერალიზმი). „ლიბერალ ფაშისტებად“ ოპონენტების მოხსენიებით, ისინი ცდილობენ საზოგადოებაში წინააღმდეგობის მოძრაობის დისკრედიტაციას და ღირებულებითი კონფლიქტის სურათის შექმნას.

მაგალითად, ყოველ წელს, საქართველოში საახალწლო და საშობაო დღესასწაულების მოახლოებასთან ერთად, შობის აღნიშვნის თარიღი საზოგადო დისკუსიის საგანი ხდება. ეს საკითხი გასცდა მხოლოდ თეოლოგიურ შინაარსს და საქართველოს რუსეთის გავლენისგან გათავისუფლებისა და დასავლურ სამყაროსთან დაახლოების კონტექსტში განიხილება¹.

„ქართული ოცნების“ პრემიერ მინისტრი, ირაკლი კობახიძე და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, შობის აღნიშვნის საკითხზე საჯარო დისკუსიას ხშირად იყენებენ „ლიბერალი ფაშისტების“ მიერ „მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმის“ არგუმენტად.

[ირაკლი კობახიძე](#), „ქართული ოცნების“ არალეგიტიმური პრემიერ-მინისტრი, 7 იანვარი: „ლიბერალური ფაშიზმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, საზოგადოება

¹ მსოფლიოში დღეს საყოველთაოდ აღიარებულია თხუთმეტი მართლმადიდებელი ეკლესია. ამ თხუთმეტიდან, თერთმეტი – შობას 25 დეკემბერს აღნიშნავს. მხოლოდ ოთხი აღნიშნავს ამ დღესასწაულს 7 იანვარს -: რუსეთის, სერბეთის, იერუსალიმისა და საქართველოს ეკლესიები. ეს იმას ნიშნავს, რომ 7 იანვრის „მართლმადიდებლურ შობად“ მოხსენიება მცდარია, რადგან მართლმადიდებლური სამყაროს ნაწილისთვის შობა 25 იანვარს არის. უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიაც წლების განმავლობაში 7 იანვარს აღნიშნავდა შობას. თუმცა, საქართველოს მსგავსად, აქაც მუდმივად დგებოდა საკითხი იულიანურ კალენდარზე გადასვლის შესახებ, რადგან 25 დეკემბრის შობის თარიღად აღიარება აქაც უკავშირდებოდა დასავლურ სამყაროსთან მიახლოებას. რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ, საბოლოოდ, უკრაინის ავტოკეფალიურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ შობის თარიღად 25 დეკემბერი გამოაცხადა.

ყველგან და ყველაფერში გახლეჩილი იყოს და მას არაფერი აერთიანებდეს [...] ბუნებრივია, დღესასწაულზე თავდასხმა მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმასაც ნიშნავდა და შესაბამისად, ეს ყველაფერი ეკლესიის იმიჯის დაზიანებასაც ისახავდა თანმდევ მიზნად.

შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ არალეგიტიმური პარლამენტის თავმჯდომარე, 7 იანვარი: “ოპოზიციამ გამოიყენა ეს სუფთა კანონიკური საკითხი, რომელიც კალენდრების სხვაობას ეხება და უწოდა დღესასწაულს „რუსული შობა“. დაწერა სოციალურ ქსელ X-ში შალვა პაპუაშვილმა მის მიერ წინა წელს გაზიარებულ პოსტთან დაკავშირებით.

2. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობის დამგმობი და დემონსტრანტების მხარდამჭერი განცხადებები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურება „ქართული ოცნების“ ანტიევროპულ კურსს, გმობს ძალადობას და რეპრესიებს მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ და მათდამი ღია მხარდაჭერას გამოხატავს.

მაგალითად, 7 იანვარს, არქიმანდრიტი დოროთე ყურაშვილი, სხვა სასულიერო პირებთან და ბეთლემის ტაძრის მრევლთან ერთად, საშობაო წირვის შემდგომ, მივიდა რუსთაველის გამზირზე და პირველი სკოლის წინ რეჟიმის პატიმრების გასამხნეველები პარაკლისი გადაიხადა.



ფოტო: ბექა მინდიაშვილი

გიორგი წეროძე, დეკანოზი, 19 იანვარი (პირადი ფეისბუქ გვერდი): „ყველა ვინც დაპატიმრებულ ადამიანს პატივს უღალხავს, მითუმეტეს შეურაცხყოფს ან სცემს - ემსგავსება ჰეროდეს, დატყვევებული იოანე ნათლისმცემელს რომ თავი მოჰკვეთა. იოანესგან ნათელღებული ქრისტე ღმერთის სახელით გადაეცით ყველას ვინც ასე შეიძლება მოიქცეს, რომ შეინანონ და არასდროს გაიმეორონ მსგავსი ქმედება...“

[შო კვარაცხელია](#), თბილისის სამების ტაძრის არქიმანდრიტი, 19 იანვარი (ქადაგება): „ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, როგორ გვპირდებოდნენ, ისეთ დემოკრატიას შევქმნითო, რომ ევროპასაც გავაკვირებთო. და მართლაც გააკვირვეს ევროპა, ოღონდ არა დემოკრატიით, არამედ ძალადობით, უმსგავსობით და იმით, რომ ქვეყანაში ქაოსი შექმნეს.“

[ილია ჯინჯოლავა](#), არქიმანდრიტი (ფეისბუქი), 10 იანვარი: „როდესაც ძალოვანი, სასამართლო და საეკლესიო სისტემები ინსტრუმენტად ქცევით, იდეოლოგიური თუ ფიზიკური დამონებით ემსახურებიან რუსულ, კრიმინალურ და ძალადობრივ ძალას, ადამიანის ღირსება და ღვთის ნება უხეშად ილახება.“

[დოროთე ყურაშვილი](#), არქიმანდრიტი, ბეთლემის ტაძრის წინამძღვარი, 9 იანვარი (ქადაგება): „ვთხოვ ყველას, გონს მოვიდნენ, გაათავისუფლონ უდანაშაულოდ დაჭერილი ხალხი და ისმინონ ერის ხმა, ამით თავსაც გადაირჩენენ და ქვეყანასაც.“ მსგავსი შინაარსის განცხადებები არქიმანდრიტმა გაავრცელა [7](#), [16](#) და [19](#) იანვარს ქადაგებისას.

[ზენონ იარაჯული](#), დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი, 31 დეკემბერი, (ფეისბუქი): „...თავისუფლება და სოლიდარობა საქართველოს სიყვარულისთვის დაპატიმრებულებს. ჯანმრთელობა და დღეგრძელობა საქართველოს სიყვარულისთვის ვნებულებს. ცხოვრება აჩვენებს ვინ მამაა და ვინ მამინაცვალი, ვინ ძმა არის და ვინ ძმის ნაცვალი. ბედნიერი შობა- ახალ წელი გქონოდეთ!“

6 იანვარს, ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტმა გრიგოლ ბერბიჭაშვილმა, საშობაო წირვაზე [საშობაო გზავნილი](#) გაავრცელა, რომელშიც ისაუბრა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქართული სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე: მისი ქადაგების ძირითადი გზავნილებია:

- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში **ერთმორწმუნეობის ნარატივი** რუსეთის მიერ პოლიტიკური გავლენის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომლის მიმართაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მოწყვალდი აღმოჩნდა. რუსეთის (საბჭოთა კავშირის) ყალბ ერთმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლას ისტორიულად არაერთი მღვდელთმთავარი შეეწირა.
- საქართველოში ეკლესიის თავისუფლება დამოკიდებულია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაზე. ამ ნაწილში საფრთხეა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის „რუსული მოდელი“, სადაც ეკლესია სახელმწიფოს ერთ-ერთი ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომ, ეკლესია იქცევა სამოციქულო ტრადიციისგან

საპირისპიროდ და საწინააღმდეგოდ, რისი მაგალითიც რუსეთში სახელმწიფოს მიერ წამოწყებული დამპყრობლური ომების ფსევდო-მორალური „გამართლება“.

- **დღეს საქართველოში იბადება ახალი საზოგადოება**, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციის ფარგლებში იბრძვის თავისი სამოქალაქო უფლებებისა და უკეთესი მომავლისთვის. ამ ბრძოლის საპირისპიროდ, ძალადობა, დარბევა და დასახიჩრება დაუშვებელია. ქრისტიანული აზროვნებისა და უძველესი ქართული კულტურის მთავარი პრინციპი თავისუფალი ნების გამოვლენაა, მისი უფლებებელყოფისას კი ქრისტიანული მრწამსი ხმის ამაღლებისა და ძალადობის მხილებისკენ მოუწოდებს.

მიტროპოლიტ გრიგოლ ბერბიჭაშვილის ქადაგებას გამოეხმაურა 17 იანვარს „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტი [გოგა ხაინდრავა](#), „*საინტერესოა, რომელი ახალი საზოგადოების დაბადებას გულისხმობთ, მღვდელმთავრო?*“ - და ამ საზოგადოებას უწოდა „მჩხიბავები“, „ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები“, „ბილწსიტყვიანი ახალგაზრდობა“, „კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მაგინებელი“, „ევროპელ მამათმავალ პოლიტიკოს-პროპაგანდისტების მხარდამჭერი“ და „ანტისახელმწიფოებრივი მიტინგების“ მომწყობი.

3. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის პროპაგანდისტული განცხადებები საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით

პროვეროპულ საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით, საკუთარ პოზიციას გამოხატავს მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი. ისინი დემონსტრაციებს „ანტიქრისტიანული ევროპის“ მიერ მართულ პროცესად განიხილავენ. დასავლეთი გაიგივებულია „გეი პროპაგანდას“ და გარყვნილებასთან.

ძირითადი გზავნილი: პროტესტი „არეულობის მოსაწყობადაა“ და წაქეზებული დასავლეთის მიერ, რომელიც „სოდომის პროპაგანდისა“ და „გეი პრაიდების“ მხარდამჭერია.

კერძოდ, ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა, სტეფანე კალაიჯიშვილმა, [28](#) დეკემბრის და [5](#), [7](#), [13](#) იანვრის ქადაგებისას აღნიშნა, რომ აქციის მონაწილეები დასავლეთის წაქეზებით და გეგმით არეულობას აწყობენ. აქციებში მონაწილე ახალგაზრდები არიან „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის შთამომავლები“. „ანტიქრისტიანული ევროპა, რომელსაც მართავენ ანტიქრისტიანული ძალები“ კი, ევროკავშირში ინტეგრაციის აუცილებელ პირობად „ოჯახის დაცვის კანონის“ გაუქმებას და „სოდომური ცოდვის“ აღიარებას მოითხოვს.

სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, [სპირიდონ აბულაძემ](#) 16 იანვარს ქადაგებისას განაცხადა, რომ პროვეროპული პროტესტის მონაწილეები, ვინც „ქუჩა-ქუჩა დარბიან“, არიან იმ ხალხის და იმ იდეოლოგიის მხარდამჭერები, რომლებიც გარყვნილებას ავრცელებს, ემხრობა „ერთსქესიან ქორწინებას“ და „გეი პროპაგანდას“. მათთან გვერდით დგომას კი მძიმე ცოდვად მიიჩნევს. მან ასევე ისაუბრა „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ, მზია ამალაშვილზე². ამ გამოცემების ჟურნალისტებს „გარყვნილი მოდგმა“ უწოდა და მთავრობის გაძლიერება შესთხოვა ღმერთს, რომ იდგეს მტკიცედ, რათა ამოძირკვოს ეს „ბინძური“ იდეოლოგია.

8 იანვარს, ქუთაის-გაენათის ეპარქიის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნდა [ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, იოანე გამრეკელის პოსტი](#), სადაც მან აღნიშნა: „გეიპარადები და მსგავსი მასობრივი კოსტუმირებული მსვლელობები ერთ-ერთი ფორმაა საზოგადოებაში ლგბტ იდეებისა და ლიბერალურ-ფაშისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისა. მსგავსი მეთოდების გამოყენება ემსახურება კერძო პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიღწევას.“

² [მისი პატიმრობა და სისხლისსამართლებრივი დევნა უკანონოა და ატარებს პოლიტიკური რეპრესიის სახეს](#)

დეკანოზმა შალვა კეკელიამ ამბიონიდან ცრუ ინფორმაცია გაავრცელა, რომელიც წინა ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის მანიპულაციურად გამოიყენა. დეკანოზის ინფორმაციით ერთ-ერთ ჟურნალისტს სიმსივნე 2007 წელს „იმედის“ ტელევიზიის დარბევის დროს თავზე მიღებული დაზიანებებისგან განუვითარდა. აღნიშნულ ინფორმაციას, 4 იანვარს გამოეხმაურა გარდაცვლილი ჟურნალისტის [შვილი](#) და მას „გამოგონილი“ ისტორია უწოდა. 5 იანვარს დეკანოზმა გაკეთებული განცხადების გამო [ბოდიში](#) მოიხდა.

სასულიერო პირების მიერ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაცია დასავლეთთან დიპლომატიური კავშირის გამო

ბოდბის მთავარეპისკოპოსმა, იაკობ იაკობაშვილმა, [27 იანვარს](#) ქადაგებისას ხაზი გაუსვა და გაიმეორა მშვიდობისა და დასავლეთის დადანაშაულების ის ნარატივები, რასაც „ქართული ოცნება“ თავის პროპაგანდისტის იყენებს. „რისთვის გვინდოდა ევროკავშირში ან ნატო-ში შესვლა, რომ დაცულები ვყოფილიყავით და წარმატებული ცხოვრება გვქონოდა ყველა სფეროში. თუ დღესვე მბლოკავ ყველაფერში და შენს ჭკუაზე უნდა ვიარო, ბოლო-ბოლო ვინ ხარ?“. ასევე, მადისკრედიტირებელ კამპანიას ეწეოდა საქართველოს მე-5 პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ:

ბოდბის მთავარეპისკოპოსი, იაკობ იაკობაშვილი, [19 იანვარი](#): „ეს მბეზღარობა ქალბატონი სალომესგან იქნება თუ ვისგანაც იქნება... ჭკვიანად უნდა იყვნენ, სახელმწიფო თუ ვერ მიხედავს, სათითაოდ მივხედავთ მაგათ. ნუ ვივლით ვიღაც ბალტიისპირელების, პოლონელი, გერმანელი დეპუტატების ჭკუაზე.“

[სტეფანე კალაიჯიშვილი, ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი, 13 იანვარი:](#) „სალომეს ვუთხარი, მადლობას გეტყვი მეთქი თუ წახვალ, დაგვანებე ოღონდ თავი, გეყოფა მუდმივი შენი პრეზიდენტობა, გვყავს პრეზიდენტი, მიხეილ ყაველაშვილი, გვყავს პრემიერ მინისტრი, რომელიც ქვეყანას არ ღალატობს.“